

პირველი ნაბიჭი

აღმანახი № 2

დეკემბერი 1909. წ.

ფასი ეველიგან 8 კაპ.

დეკემბერი, 1909. წ.

გვსურს უაღრესად მნიშვნელოვან და რთულ საკითხებ საუბარი. რაშია საქმე, იყითხავს მკითხველი?

მოსწავლე ახალთაობის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ხანა გათვითცნობიერებისა და ეროვნულ გამორკვევისა. საქართველოს თვითფულ კუთხიდან მოისმის გამამხნევებელი, მრავალ იმედის აღმძვრელი ცნობა, რომ ქართველ მოსწავლეობა იღვიძებს საღათას ძილისაგან, უკირდება თავის საზოგადოებრივ ყოფა-მდგომარეობას და ნათელს ყოფს, რომ ქველებურად ცხოვრება არ შეიძლება, მას როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ერის შვილს უაღრესად დიდი ვალი აწევს, რაც უკარისახებს სკოლის სკამიდან მზადებასა. ბათუმი, ქუთაისი, თბილისი და სხვა ქალაქები ნათლად მჭერმეტყველობენ, რომ ქართველ მოსწავლეობაში რადიკალური ცვალებადობა ხდება ეროვნულ დევნისა და რეაქციის ზეგავლენით, რომ გაღრმავებული მასში გონებრივი ინტერესი, მაგრამ რაც ასანიშნავია, ლტოლვა ყველაფერ მშობლიურისადმი. ყველა ეს კი მოსალოდნელი იყო. მას შემდეგ, რაც რუსთის მთავრობამ პირველი სასწავლებელი დაარსა საქართველოში, აგრე-წოდებულ კეთილშობილთა სასწავლებელი, ამ მომენტიდან იწყება ქართველ მოსწავლე ახალგაზღობის ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტა, ქართველ ხალხთან სულიერ კვანძის შეწყვეტა და გადაგვარების საფუძველის ჩაყრა. ამ მომენტიდან სწავლება რუსულად სწარმოებდა და ქართული ენა მეტ ბარგად იყო ცნობილი და ის ორიოდე საათი

კვირაში, რომელიც მას დათმობილი ჰქონდა გიმნაზიაში უფრო ფორმალულ მხარეს წარმოადგენდა. ჯერ არის და სამოსწავლო საქმის რუსულ გემოვნებაზე მოწყობა, საგნების უცხო ენაზე გავლა, მშობლიურ ენის „არამოქალაქეობრიობა“, დასასრულ სასწავლებელში გამეფებული რეეიმი ხელს უწყობდა ჩვენ მოსწავლე-ახალგაზღობის იმ მოლიბულ გზაზე გაორკეცებულ სისწრაფით დაქანებას, რომელსაც გადაგვარება ქვია.

მოსწავლეობის გადაგვარების საქმეში უაღრეს თანამშრომლობას უწევდა ქართული ოჯახი, სადაც რუსთა ჩვენში გაბატონებიდან სათაყვანებელ კულტად იქცა „პორუცკობის“ სწავლა. ჩვენი ცხოვრების ამ მახინჯ მოვლენათა ზეგავლენით იზრდებოდნენ მოსწავლენი და ამ უკანასკნელთა მესვეურნი დახაზულ მიზანს აღწევდნენ. მართლაც, ახალგაზღობის ნორჩ გულში ნელინელ იქარწყლებოდა კეთილშობიური ლამპარი სამშობლოს სიყვარულისა და ნაცვლად ისადგურებდა რუსებთან შესისხლებრუბის და პირად კეთილდღეობის ზრახვანი; ამით ათავებდნენ საშუალო სასწავლებლებს, ასრულებდნენ უმაღლეს, პრუნდებოდნენ საქართველოში „პოსტერნიკებად“, „სლედოვატელებად“ და მათ საჭირობო ლტოლვილს სამსახურში დაწინაურების განცხოველება შეადგენდა. ოფიციალურ აღზრდის წყალობით ისინი სულიერად მახინჯდებოდნენ, შორდებოდნენ თავის ხალხს და კარგადნენ რა ეროვნულ „მეს“ ჩრდილოეთიდან მოსულს ხალხში ითქვითებოდნენ. ამ გვარად განსწავლული თაობა ატარებდა აქამდი ქართველ სახოგ. მოწინავე ელემენტის, ინტელიგენტის

სახელს. მას ვერ შეეძლო განცხოველება კულ-ტურულ-ეროვნულ დაწყებისა ჩვენში, ვინაიდან ამისთვის არც სურვილი ქონდა უფროსთა წინაშე შიშით, არც ძალა. რა მოყვა ამას? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ქართველ ხალხის შემოქმედება ჩაიფერფლა, მის ფსიხიურ ვითარებაში ჩაითესა მონაბის მცნებამ, ნელი ნელ კონკრეტულ ეროვნულ სახეს კარგავდა და გადა შენების გზას დაადგა. საღი განსწავლული თაობა გვყოლოდა ეროვნულ გრძნობით მონაპკურ ჩეხის ან პოლონელ ინტელიგენციის მსგავსად ჩვენი ხალხის არსებობის მაჯა არ მისუსტდებოდა და ცხოველმყოფი შუქი ეროვნულ შემოქმედებისა უმაღლეს წერტილს მიაღწევდა. პირველ შეხედვით თითქოს არაფერია საერთო ზემო ნათქვამსა და თანამედროვე ქართველ მოსწავლეობის ეროვნულ გათვითუნობის შორის. ჩვენი საზოგადოების განვლილმა ცხოვრებამ ნათელყო, რომ ქართველ ინტელიგენტის ნაკლებ ინტელიგენტბა, ეგოიზმი უბედითი საზომი გამოდგა ჩვენ ხალხის სულიერად დაჩლუნგებისა. თანამედროვე ახალი თაობა მომავალი ინტელიგენციაა და თუ მასში თავისებურად, ძალდაუტანებლივ იხატება კეთილშობიური ღორღოლებანი, პრინციპი მამულიშვილობისა ამას შექარით, ვინაიდან ამას ცხოველი ნაყოფი მოყვება. ჩვენ

იმ წრეთა სიაში არ ვირიცხებით, რომელნიც საწარმავო ძალთა განვითარებაზე ამყარებენ ყველაფერს, რის გამოც მაღლა ვაყენებთ კულტურის ინტელიგენციისას, მაშასადამე მის გამომსახველ ინტელიგენციასაც, მაგრამ არა იმათ, რომელთა ინტელიგენტობაც „დიპლომს“ არ გასცილებია, არამედ ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობით. ამ საზომით რომ შევხედოთ ქართველ მოსწავლეების გამოლვიდებას მის დიდ მნიშვნელობას შევიცნობთ. მართლაც, ვინ თუ ჩვენ ახალთაობა, უნდა ვესწრაფოდეთ დევნილ სამშობლოს აღვავებას, ვინ, თუ ჩვენ უნდა შეუბერტყოთ მას მონაბის ბორკილები? მოელი იმედი ქართველ ერის აღმოჩნდინებისა ძლევა მოსილ ეროვნულ გრძნობით გამიზნულს ინტელიგენციაშია, და ვინ, თუ არ ჩვენ უნდა ვიქნეთ მომავალში ეს? თუ ეს მართალია, როგორ უნდა ვემსახუროთ მას თუ საქართველოს კულტურული წარსული ცხოვრება, აწყურ, მწერლობა, ეს პირუთნელი სარკე მის სულიერ მდგომარეობისა უცნობი იქნება ჩვენთვის. სწორედ ამის შესწავლის, ხორცულებების ლამობს საუკეთესო ნაწილი ქართველ მოსწავლე — ახალგაზისტობისა და ამ მნიშვნელობით ვიხმარეთ ეროვნული გათვითუნობიერება.



კოლექტივი

იქ ნაკადული მთის კალთიდან გიღმოჩერიალებს,
 იქ დიადემა მთის მწვერვალთა მზეზე ბრჭყვიალებს,
 იქ ფრინველთ ჰანგში ჩაქსოვილა ლხენა და შვება,
 იქ ერიამული ცის კამარას ეთამაშება.

იქ ბუნებაა, ჩემო კარგო, მხოლოდ ბუნება!
 იქ არის მხოლოდ სანატრელი თავისუფლება.
 იქ, ტყვედ ქმნილთა მზე ოცნებაა, სხვა არაფერი,
 ის კი ფრთას გაშლის უზრუნველი და ბედნიერი.

მუზა იქ სცხოვრობს. პოეზია მეფედ იქ არი,
 იქ გესმის ასულთ მწუხარე ხმა, ნაზი, ნარნარი,
 დაუგდე ყური.. შენ მოისმენ ჰანგსა ნაღვლიანს,
 იცი, რა აკრთობს, რა აწუხებს იქ ადამიანს?

„თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!...
 შეისმინევი, ჰე ბუნებავ, მუდარა ჩვენი!

გრძნობა გვეკარგვის.. სული შფოთავს.. გული წუხდება...
რად არ სწყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?

„მზე დაგვქათქათებს.. ყვავილო გუნდი გვეალერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად,
თავისუფლება აღარა გვაქვს; თავისუფლება!
იტირეთ ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად!..“

როცა დავუგდებ მე ყურს ამ ხმებს, მეც ვიტანჯები.
ფიქრი გულ-ცივად და თან მშეიღად მესაუბრება:
„მითხარი რისოვის ნეტარებენ სამშობლო მოები
მითხარ, რად ცელქობს ფრთა-გაშლილი ტურფად ბუნება?“

გ. ტაბიქე.

სამჯერ რვა...

პატარა, კანკებ ტიტველა და ცქრიალა
გოგიამ ქუჩის კარებთან მარდი ხტუნვით და
ცხვირის სრუტუნით მიირბინა და ზარს გულა-
დად ჩამოჰკრა. მერე, მოაგონდა რა, რომ
ცხვირში წვინტლმა გუშინ მასწავლებელთან
საქმე გაუჭირა, წიგნები კარების საფეხურზე
მარდად დაჭყარა, ჯიბიდან წითელ-არშიანი ხელ-
სახოცი ამოილო, შიგ მაგრა იხვინა და ზარს
ხელ-ახლა ჩამოჰკრა. პატარა, მაგრამ უშნო
ხმიანში ზარმა კი არ დაიწყრიალა, ჩვეულებრივ
დაიღრიალა და კარებშიც გასაღებმა დაიჩხა-
კუნა. გოგია ზედა სართულში მარდად ავარ-
და და თვალის დახამხამებაზე მასწავლებლის
პატარა ოთახში გაჩნდა. მასწავლებელი, მეექვ-
სე კლასის მოსწავლე უკვე მზად იყო და უც-
დიდა. გოგიას სიცოცხლეში ეს მესამე მასწავ-
ლებელი იყო. პირველი დედა, მეორე თვისი
უშფროსი ძმა, რომელიც ეხლა რუსეთშია და
რომელსაც ყურს აგრე რიგად არ უგდებდა და
მესამეც ეს მოსწავლე, მაღალი, წელში მოხ-
რილი, შავ თმიანი და სახე-წითელი, რომე-
ლიც ძალიან კეთილია, დედასა და ძმასა-
ვით ბევრს არა ყვირის. ეს მხოლოდ ბევრსა
მასხარიანის და ცოტასა ჯავრობს. ცუდად და-
წერილ გაკვეთილს რომ პნახვს იტყვის ხოლ-
მე: ბატების ნავალსა ჰეგვის და თუ გაკვეთი-
ლის უცოდინრობას შეამჩნევს ვისმე, მაშინ
დაურიდებლად ეუბნება: ლომიონ ხარო. სხვა-

ნაირი გაჯავრება არ იცის და თუ დაიყვირებს
მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი რამ, რომელიც
მოწაფეს ვერ დაუქსომებია ან რომელსაც ვერ
მიმხვდარა, დაახსომოს და მიახვედროს. ცემა
და თავში წაფარება, ხომ სულ არ იცის. ამი-
ტომ გოგია ამ მასწავლებელთან სიხარულით
მიღილდა ხოლმე და თუ კაი გუნებაზე იყო გა-
კვეთილსაც კარგად მოუმზადებდა. გაკვეთილის
მომზადება გოგიას, საზოგადოდ, კანონში არ
ეწერა. რა საჭირო იყო რაღაც უსარგებლო
ციფრების დახსომება და „დედა-ენიდან“ ლექ-
სების გაზეპირება. ეს ისეთი საქმე იყო, რო-
მელიც მას საკუთრივ არავითარ სარგებლობას
არ აძლევდა. მისით მხოლოდ დედ-მამა ერთო-
ბოდა და გაუგებარი იყო, რომ დიდები ამ სუ-
ლელურ გასართობში ვიღაც, თუმცა კეთილს,
მაგრამ მაინც უცხო კაცს თვეში ხუთ მანეთს
აძლევდნენ. ერთი რამ კიდევ ვერ გაეგო გო-
გიას: რისოდის იყო, რომ ის საღლაც გემნა-
ზიაში ორჯერ მიიყანეს, ერთი მაშინ, როდე-
საც თოვლი დადო და მეორედ კიდევ მაშინ,
როცა ყურძენი შემოვიდა. იქ ვიღაცებმა, რო-
მლებსაც მასწავლებლებს ეძახდნენ, გოგია ერთ
ოთახში შეიყვანეს, სადაც შავ-ფიცრიანი და
წითელ-ფეხება უცნაური სტოლები იდგა და
ზედ აუარებელი ბიჭები ისხდნენ; იქ გოგიას
რაღაცები ჰკითხეს, დაწერინეს, აანგარიშეს
და მერე დაითხოვეს, რის შემდეგაც დედა ტი-
როდა და ფიცულობდა, რომ გოგიამ ყველა-
ფერი კარგად იცის, მაგრამ რიღაცის გულისა-
თვის მისი შვილი არ მიიღეს.

— ისე მშვენივრად იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა — ამბობდა დედა და ტიროდა; ვიღაცა კაცებს, იმათ, რომლებმაც გოგია იმ უცნაურ ოთახში შეიყვანეს, რაღაცა ეხვეწებოდა და ისინი კი მხრების აწევით და ხელების შლით თავს იქნევდნენ.

— შენ კი გასწყდი შე არ დასაცალებელო! — ხანდისხან გოგიას უჯავრდებოდა ხოლმე ლოყა დასველებული დედა — სულ ქუჩაში გაქვს სული და გული და სწავლა კი ფეხებზე გყიდია. — ერთი ორჯერ კიდეც წაუმუჯლუბუნა, ამით ნაწყენმა გოგიამ ნატკენი ადგილი მოიფხანა, დაიბუზღუნა და კარში გავარდა, სადაც ერთი გაკვრით ჩილიკა შორს გასტყორცნა. დედა კი ვიღაცას მიუბრუნდა და არწმუნებდა:

— ისე მშვენივრად იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა.

გოგია კი ვერას მიმხვდარიყო და დედის უმიზებო ცრემლები აკვირვებდა კიდეც, უჯავრებდა კიდეც და თანაც ენანებოდა.

ყველა ამის შემდეგ, დედამ გოგია ერთს საღამოს ერთ დიდ მოწაფესთან მიიყვანა და მას შვილის მომზადება სთხოვა. ამასთანავე არ დაივიწყა ეთქვა, რომ გოგიამ ყველაფერი კარგად იცის, მხოლოდ რაღაც მიზეზით არ მიიღეს.

— ისე იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა.

— და ატირდა.

„ნუ თუ როცა აღამიანი ამ სიტყვებს იტყვის უნდა იტიროს?“ ფიქრობდა გოგია.

ამ შემთხვევის შემდეგ, გოგიამ ახალ მასწავლებელთან წესიერად დაიწყო სიარული და სწავლა; უეჭველია იმიტომ, რომ კიდევ წაეყვანათ იქ, სადაც ის უცხო ხალხი იყო, რომელიც მას დაწერინებდა, წააკითხებდა, მერე გამოისტუმრებდა და მტირალ დედის წინ მხრებს ასწევდა.

ეს ახალი მასწავლებელი ჯერ რვეულებს გადასინჯავდა ხოლმე და-დაიღრიჯებოდა, რაღაცაც რვეულზე მელანი, სულ ცოტა, ორგან მაინც უნდა ყოფილიყო დაღვენთილი. რამდენს არა სცდილობდა წერის დროს გოგია,

რომ მელანი თეთრ ქალალდს შავ ცრემლად არ დასცემოდა, მაგრამ იმ ტიალ კალამს, აცა — და გავარდებოდა წვეთი. მერე გოგია მის აწმენდის მოინდომებდა ხოლმე და ყველა თითო კი გაესვრებოდა. იმის მეოხებით რვეული სხვა ადგილასაც ითხუპნებოდა და „დედა ენის“ ფურცლებიც ვეფხსავით ლაქებით იყო აჭრელებული.

რაკი მასწავლებელი რვეულებს ამ გვარად დაეღრიჯებოდა, მერე ჭუჭიან და დაფლეთილ „დედა-ენას“ იღებდა და ფრთხილად გადაშლიდა ხოლმე და გოგიას ერთსა და იმავე სტრიქონს ერთი ათჯერ მაინც წააკითხებდა. იმდენჯერ გაიმეორებდა ხოლმე გოგია ერთს სტრიქონს, ისე მოაბეზრებდა ხოლმე მას თავს, რომ გოგია დარწმუნებული იყო, რომ იგი არასოდეს არ დაავიწყდებოდა, მაგრამ არ გავიდოდა ხოლმე სულ ხუთი წეული, და წაკითხული გოგიასათვის სრულიად უცხო ხდებოდა. ამზე გოგიას ჯავრი მოსდომდა. გამოცდილებით იცოდა, რომ რაც უფრო მაღალ დაიხსნებდა წაკითხულს, მასწავლებელი მით უფრო მაღალ დაითხვდა ხოლმე. მაგრამ თითქმის ჯიბრზეო, სწორედ კითხვის დროს აგონდებოდა ხოლმე თავისი პატარა გიშერა, რომელიც ეხლა უეჭველია საღმე კაბის ქვეშა წევს მტვერსა და ნაგავში და გოგიას წვალებისა კი არა ესმის რა. ამ გიშერას გოგია მხოლოდ ღამ-ღამობით ეთამაშებოდა ხოლმე, როცა ძალიან დაბნელდება, ბიჭები წინ მიდიან და გოგია ქუჩაში მარტო რჩება. გიშერა ძალიან ჭკვიანი ძალია: მაგრამ ძვლები უყვარს და კუდზე ტრიალი იცის. თამაშობით დაღალული გოგია, ხშირად მასთან ერთად იძინებს ხოლმე კიბის ქვეშ. როცა ყველაფერი ეს მოაგონდება ხოლმე თავში ყველაფერი ერევა და ვერას იხსომებს.

დღეს კი მაინც ძალიან ცუდი დღე დააღვა მზის-ფერ თმიან გოგიას. დღეს ხუთი დღეა, სულ სხვა-და-სხვანაირი, სულ ახალი ამბები ხვდება მას. ჯერ დილითვე, რომ გაიღვია სახლში დიდი მოძრაობა იყო, ყველაფერი იწმინდებოდა, ლაგდებოდა და სამზარეულოში ათასი საჭმელები მოეტანათ. გოგიას

იქვიც კი შეეპარა: აღდგომა ან ახალი წელი
ხომ არ არისო? მაგრამ არც სად - გოზინაყი
ჩანდა, არც პასკები. ქუჩაში რომ გავიდა, იქ
ბიჭებს ჩილიკა ჯოხი ეთამაშა და აწიოწეს. ეს
იშვიათი შემთხვევაა ხოლმე. სადილზე რომ
დასხდნენ, ვიღაც სტუმრებიც იყვნენ. ერთმა
მათგანმა მის დას თითზე ბეჭედი გაუკეთა.
ამის მნიშვნელობას გოგია ვერ მიმხდარიყო და
იფიქრა: აღბად, ეს ასეა საჭირო; ისე, რო-
გორც ჩემი სწავლებამ.

უველა ამის შემდეგ, მასწავლებელს გა-
მოუტადა, რომ დღეიდან ანგარიშს ოცზე
მეტს ვისწავლითო. იმდენი რამ ახალი გადახ-
და მას, რომ უველა ამისთვის თავი ვერ გაერ-
ოვა. იმის ცხოვრება სულ ქუჩაში გადიოდა
ჩილიკასა და კოჭ-სალაში და ეხლა ძალიან უკ-
ვირდა, რომ მისი გონება სხვა რამექმაც მია-
ჰყიდს. მაინც რიგიანად ისწავლა. მხოლოდ
ერთი რამ გაუჭირდა: ვერას გზით ვერ დაიხ-
სომა, რომ სამჯერ რვა ოცდა-ოთხია და არა
ოცდა-რვა. რამდენს არ ეწვალა მასწავლებელი,
რამდენს არ უხსნიდა და მაინც ვერას გახდა,
გოგიაც ხან სწორედ იტყოდა თუ რამდენია
სამჯერ რვა, ხან კი რაღაც ეშმაკი შეუჯდე-
ბოდა ხოლმე და შეშლიდა. უველაზე საკირ-
ველი ერთი რამ იყო: რა წამს მასწავლებელი
დაუწყებდა სამჯერ რვის ახსნას და სთხოვდა
უურადღება მიექცია მისთვის, სწორედ მაშინ
მოაგონდებოდა ხოლმე გოგიას, რომ დიღას იმ
ბიჭმა, ჩილიკა-ჩილეში ერთი გაკვრით მოუგო,
მერე იმ დროს, როცა გოგიას გათავებამდის
ათი ბიჯი-ლა ეკლდა. მერე იგონდებოდა ის
ორი ვაშლი და სამი კამფეტი, რომელიც დი-
ლიას სამზარეულოში აწაპნა. ვაშლები კი ჩუ-
მად სხვენზე შეჭამა, კამფეტები კი სარკმლის
დარაბს უკან დამალა და დაავიწყდა: ვინ იცის
მიაგნეს და შეჭამეს კიდეც, და უველა ამის
შემდეგ, გოგიას სამჯერ-რვისა აღარაფერი ეყუ-
რებოდა. რამდენსაც კი ჰკითხავდა მასწავლე-
ბელი, რამდენია სამჯერ რვაო, ის დაბეჯით-
ბით და ცეკვიტად უბასუხებდა:

— სამჯერ-რვა ოც-ტა-რვა.

და ხელ-ახლა იწყებოდა ახსნა, მტკიცება,
ჩაგონება, ხელ-ახლა აგონდებოდა ჩილიკა ჯო-

ხი, მოპარული ხილი და ყველა ამის შემდეგ იმოთხვე-
გამოდიოდა, რომ: — სამჯერ-რვა ოც-ტა-რვაა.

მასწავლებელი ისევ ხსნას იწყებდა და გო-
გიას კი გული მოსდიოდა: „რას ჩამომაცივდა,
რავქნაა: ახლა ამას რა უნდა, რომ მე ასე.
ვსთქვა: სამჯერ რვა ოც-ტა-რვა, უფრო კარგი
არ არის? მე მინდა და ასე ვიტყვი: სამჯერ რვა
ოც-ტა-რვა. ჩემი ნება არ არის?

ერთ ამისთანა უბედურ დროს, როცა
მასწავლებელი ერთხელ კიდევ უხსნიდა, რომ
სამჯერ რვა ოც-ტა-ოთხიაო, გოგიას მოაგონ-
დნენ სტუმრები და ის, რომ მის დას ხელზე
ბრტყელი ბეჭედი გაუკეთეს. „მაშ მაშას მალე
წაიყვანენ.“ გაიფიქრა გოგიამ, რადგანაც იცო-
და, რომ მის ამხანაგს, ხარაზის ბიჭსაც ჰყავდა
და, მაგრამ იქაც ერთ დღეს სტუმრები მივი-
ღნენ, დას ხელზე ბეჭედი გაუკეთეს და მერე
მალე სულაც წაიყვანეს, ხარაზის ბიჭი კი ტი-
როდა.

— მაშ, მაშას მალე წაიყვანენ! — ფიქრობ-
და გოგია. ძალიან ენანებოდა კეთილი და
მხიარული მაშო და უნდოდა ჩემა წასული-
ყო შინ, რომ თუ ვინცობაა წაიყვანეს, მის
უნახავი არ წასულიყო. მასწავლებელი კი ლა-
პარაკობდა, რაღაცასა სწერდა და როცა ჰკით-
ხა: მაშ რამდენია სამჯერ რვაო, გოგიამ ისევ
ისე ძეველებურად, გულადად და დაბეჯითებით
უპასუხა:

— სამჯერ რვა ოც-ტა-რვა.

მასწავლებელს გული მოუვიდა, კალამი გა-
დახეთქა და წამოხტა. მერე მიუბრუნდა გო-
გიას და გაჯავრებულმა ჩამოციებით ერთი ოც-
ჯერ მაინც გაამეორებინა: სამჯერ რვა — ოც-
ტა-ოთხი .. სამჯერ რვა ოც-ტა-ოთხია ...

როცა მასწავლებელი დარწმუნდა, რომ
გოგიამ სამჯერ რვა უკვე დაისწავლაო, გაჯავ-
რებით უხტრა:

— დე, დაიკარეგ აქედან.

გოგია მსწრაფლწამოხტა, წიგნები აკრიფა,
იღლიაში ამოიჩირა და ის იყო გასველას აპი-
რებდა, რომ მასწავლებელმა მიაძახა:

— მოიცა!.. რამდენია სამჯერ რვა?

— სამჯერ რვა ოც-ტა-რვა!.. მიახალა
პირში გოგიამ და თან გული მოუვიდა: თუ



შინ დამითხოვა ეგ ოხერი სამჯერ რვა რაღააო. მასწავლებელმა ერთი მაგრა გადააფურთხა და შეჰყირა.

— სამჯერ რვა ოც-და-ოთხი! გაიგე შე ჩერჩეტო, ოც-და-ოთხი, ოც-და-ოთხი...

ეხლა კი ძალიან გაბრაზდა მასწავლებელი. ამ ორ თვეში გოგიას ასე გაბრაზებული ერთ-ხელაც არ უნახავს. თითონაც გაჯავრდა: ჯერ მასწავლებელზე, რასა ყვირისო და მერე თავის თავზე, რას ჩავაცივდი ამ საოხრო ოც-და-რვასაო. ამას უნდა, რომ ოც-და-ოთხი იყოს და დევ იყოს. ამიტომ მიაყვირა:

— სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, ოც-და-ოთხი და ოც-და-ოთხი.

— აგრე! დაიკარგე და ხვალ თვალით არ დამენახო, თუ ეგ არ გეცოდინება, მიაძახა კარებში გასულ გოგიას გაბრაზებულმა მასწავლებელმა. გოგია ოთახიდან გავიდა. და კარი გაიხურა. მერე კარებისკენ მიბრუნდა და ენა გამოჰყო: ეს მასწავლებელს კუთვნოდა. მერე კიბეებზე ფეხის გულებით ჩქარ-ჩქარა ჩაურდა და ხელად კარში გაჩნდა. თუმცა ქუჩის კარი გამოსაკუტად ისე ძალიან გაიჯაუნა, რომ მთელი სახლი შეინძრა, კარი მაინც ვერ გამოჰყეტა, მაგრამ ამას ყურადღებაც არ მიაქცია და ხტუნვით გაიქცა.

უკვე დასაღამოებულიყო და პაერიც განაცრისფერებულიყო. ქუჩის ორივე შხარეს სანათი ინთებოდა. დუქნებში გაჩაღებულ ლამფების შუქზე გარედ გამოწყობილი ყურძნი და ვაშლი ისე პრიალებდა, რომ შიგ ადამიანის სახე გამოსჭიოდა. გოგია თვალების ფაციცით მიღიოდა და იმეორებდა: სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, სამჯერ რვა ოც-და-ოთხი. შემოდგომის თბილი და მოწმენდილი საღამო იყო. ციაგ ცაზე ვარსკვლავებმა ელვა დაიწყო. უცემ გოგიას წინ ორი ძალლი გაჩნდა. ერთი დიდი, წაბლის-ფერი და ბანჯგვლიანი, მეორე კი პატარა და გოგიას გიშერასავით შავი. ორივე ჩხუბობდა და ისეთი საკვირველი იყო, რომ ეს პატარა ფინია იმ ვეებერთელა მურას თითქმის ერედა. გოგია გაჩერდა. სალოკი თითი წეინტლ-მომდგარ ნესტოშა შეიდო და ცნობის მოყვა-

რეობით დაუწყო ცქერა. ის იყო კაცული ფინიამ დიდი მურია ფეხ-ქვეშ იგდო და უეპევლია კარგადაც დასთეთქვამდა, მაგრამ ამ ღროს საიდანლაც საძაგელი მეეზოვე გაჩნდა — მეეზოვენი საზოგადოდ ძალლებსაც ეჯავრებათ და გოგიასაც, იმიტომ რომ ისინი ძალლებს სანავვე ყუთში ჯდომას უშლიან და სცემენ, გოგიას კი ჩილიკას ართმევენ: სარკმლის შუშებს ამტროენ. — მეეზოვემ მოჩხუბარ ძალლებს ცოცხი წამოუსევა და გარეკა.

გოგია ერთ ხანს გარინდებული იდგა და მეეზოვეთა სისაძაგლეზე ფიქრობდა. მერე შუა ქუჩაში გაიხედა, იქ, საღაც ეტლები დადიან. იქიდან ზარის ხმა მოისმა.

— სამჯერ რვა ოც-და-რვა. — გაიფიქრა გოგიამ, შუა ქუჩაში ცხვირის სრუტუნით გადახტა და ტრამვაის ვაგონს გამოუდგა.

ი. ტა - შვილი.



დილა.

უკვე აღსრულდა მამალთ ყივილი! მზემ გარდმოავლო ქვეყანას თვალი; შეერთა წყვდიალი, ტყე შეიშმუშნა და მოეფინა სიცოცხლის ძალი.

საშუალო მხარევ! აღსდექი ძილით, აღმართე წმინდა შრომის აღამი: ახალს და დიალს მოითხოვ საქმეს ახალი დილა, ახალი უამი!

ი. მჭედლიშვილი.

ჰთვარენ...

მთვარევ, განათდი, განათდი! ხალხი ამორე მწარესა; ბნელეთი მოსპე, აემარე ტანჯვა საშუალო მხარესა. ჩვენს ტურფა კეკლუც ქვეყანას ვეშაპი ეპატრონება, შხამით და გესლით არ ინდობს,

არც შემდეგ შეებრალება.
ნათელი სხივი არა სჩანს,
მას ბნელი ებატონება;
და თუ გამოჩნდა შორს საღმე,
ბურუსი აეფარება.

მთვარევ, განათლი, განათლი!
ხალხი აშორე მწარესა;
შენი შნათობი სხივები
შოპტინე არე მარესა.

6. დიდებულობა.

ჩვენი გაბა.

(ვუპლინი — ს.)

გაზაფხულის მთვარიანი დამე იუთ. ცას პირი მჟავამება და ნაზად მთციმციმე გარსევლა ვებით მოკარგდა. ბადრი მთვარის მორცხვი ნათელი და გარსევლა ფიაგი ადამიანის იწვევდნენ გარედ, ბუნების წიაღმი და ოცნების სამყაროში სახავრდოდ ფურთების ასხამდნენ. სევდანს ადამიერებოდა გულიდან ნალვლით საესე სიძღვრა, ხოლო ბედ-მდვიმარეს საგალაბელი ჭიმხი ბუნების სადაცებულად.

მსურდა მთებრებულიავ ადამიანთ ცოტა ხანს მაინც და გავედ ქალაქს გარედ, მდინარის პირად გაშენებულს ტეატრს გეღზე. უგზო-ჟავლიდ დავეხე-ტემდო. ხან და ხან მევნერდებოდი და ვუსმენდი საღებლებით მოცულს ჩურჩებს ბუნებისა. ნერივ რას ბუტებულება ტყმ, რას მთებრებოდა ადამიანის თავის ფოთოლით შრიალით? ამაღდ ვცდილობდი ჩავწედენიავ ბუნების მის საღებლო ზრახათა სიღრმების და მიგანებო კადეც თავი ამის ცდას.

წამოვწევ. ცცნებას გავუ. თავის მძლავრ ფრთა-თა-შემოქმედით ხან საჟუნიებს გადამალახვინებდა და ჩემთა წინაპარ აჩრდილებოთ მასაუბრებდა, ხან მომავალს წამომადგენინებდა ათასი გარ ფერად აქრებულს.

თავ-დავწევამდის მივეღ... ცას შევცერთდი. გარსევლანი ნეღ-ნეღა ჭირებოდნენ; მთვარეც მიიმა-ლა. კუმრივით მავი ღრუბელი გადაეკრა ცას და მთვარს სამყაროზე განუგვირებელი წევდიადი გამეფ-და. შიშის ერუანტეფი მივდიდა ტანში, რაღაც საშინებს მოვედროდ.

ბუტბუტივით ურე, ნელმა ხმაურობამ გადაირ-ბინა ცზე. იღებდ, ცაშ უფრთ შევად მოიღუშეს მოვალეობის და მრისანების ჭექა-ჭეხილით შეარება შეეჭრის მომენტი.

კარწიდო....

ცა უფრთ მრისანებიდა. ეღვა გაიკლა კნებოდა ხოლმე, ზარდამცემი გრგვინგა გადივლიდა კიდოთ-კიდემდე...

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ბუნების მრისანება; ნეღ-ნეღა ეუწებოდა.

უცემ თრად გაიპო ცა და მის ნაპრალში გამოხდა ვერცხლისფერი, ნათელი ღრუბელი. და ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებში გავარჩი პირ-სა-ხე და შემდეგ მთელი ტანი ტურია, მშვენიერ ასულისა.

გავაცდი. შიშის ამიტნა, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძროდი და გვილავ ჩვენებას ვუცეკერთდი. ჩვენება კა ვერცხლის უერ ღრუბლებში გახვეული ცას შერდებოდა და დედამიწისაკენ მოდიოდა... ჩემს კენ. ცოტა ხნიც და ჩვენება ჩემ წინ კაჩდა.

ვუზერდი. საოცარი მშვენიერება იუთ. შავი თმა ზურგზე გადაჭუროდა; სიტურთის სხივი და ს-თამაშებდა სახეზე; თვალები მისი ეშნის მომხიბ-ლელ ცეცხლს აურქევდნენ, ტანი ბროლისაგან ნა-პეტ საიმპერიათ მომხიბლელობით შეზავებულს ქანდაკს ჰეგანდა; მთლად იძისი არსება აფრევედ ნათელს უმწიველო ქალწულურ მშვენიერებისა.

დიდხანს ვიდეს მის წინაშე მეხლ-მოდრეკილი მის ღვთაებივი სიტურთი ტუვე-ქმნილი, სხივთა-ფრევეგით თვალ მოჭრილი და რაღაცას ვლუღლუ-ღებდი. ბოლოს გაებედე და ვკითხე:

— გინა ხარ, მშვენიერო ასელო? რისოვის გამომეცხადე მე ბედერულს: სანუგეშებლად თუ და-სასჭელად? ან რა მიზეზია, რომ მენ ჭექა-ჭეხილის შემდეგ მომევლინე?

ზასებს არ მცემდა. მხოლოდ თვალებში მიცერდა, თითქოს სცდილიბსო მათში ამოკითხს ჩემი შინაგანი სულიერი ეოფა. წავდეს წინ, დაგაცი სეღ მეორედ მუხლებზე, ადგანუარ სელები და შე-გევედრე:

— გამეცი პასუხი, ჭით ხორცისმეულო დმურ-თო მშვენიერებისავ! გემუდარება, ნე მირისხდები! და წავარენ ბაგენი მის ფერსთა სამბორებლად.

— შესდექ! მითხო მან მრისანებით, უნ

დირსა არ ხემის თავანის-ცემისა. მე თავისუ-
ფლების ღმერთს მექანის, შენ კი მოხა ხარ, შირმ-
ში შვილი მოხა-ერის და მოხურად ადზრდითა.
წელი ხომ გესმოდა ჭექა-ჭეხილი, გრგონვა, ელვა
და მოისხანება ბუნებისა; თთქოს გადაბრუნების
ასირებსთ, ისე ირუეთდა მთელი სამყარო. მხოლოდ
ამის შემდეგ გამოვალ ხელმე ცის ღრუბლებიდან
შეუნად მოსაედინებდად და შხვდო იმის თავანის-
ცემის ვიდებ, ვინც ჩემსავით ჭექა-ჭეხილს და ქარ-
ცეცხლს გამოივლის და ძორები შემომსხვრული
ამჟად შემომსხვდებს თვალებში.

— შეც, შეც ვაბრძოლებ, გავანთავისუფლებ
ჩემს ერს, მრისხანებ გემეთები დამმონაგებელ
მტერს. და ა, ხომ სედავ ჩემს მახრილს ქედს,
მაშინ ესე ადარ ვაქნები. ჩამოვაგდებ უდელს მონა-
ბისას, გავსწორდები წელში, დავაგუბუნებ სიმღერას
თავისუფალს და გამცხობ შენ უფელავეს... მხო-
ლოდ ახლა კი, წასვლის წინ გთხოვ მოცე ნება
ვეამბორთ შენს უერთ, ხამნად თავანისცემისა.

— არა, ჭაბუქო, ჯერ წადი, შეასრულე შენი
სათქვეში, მოუწოდე შენს ერს თავისუფლებისათვის
საბრძოლებელად და, როცა დაამსხვრევთ ბერკილს
მოხდისას, მაშინ მე თითოვე მოგევდინები, და
აა ხომ სედავ ჩემს ბრთლის შეჭავებს — ამათ შეგ-
ხვევ და აა ხომ სედავ ჩემს ბრთლის შეკრდე —
ზედ მიგივრავ და მაშინ გაგრძელდინებ უმაღლეს სე-
რიანებას, სამოთხეს.,.

გული აღმეგზნთ.. და უცებ ჩვენება გაჭრა.
გამოურგვეველი ვიდებ და ვსდებძი. ბოლოს გადა-
წევებით წმოვიძე:

— ადგასრულებ ჩემს ადთქმას, უმაღლეს ნე-
რიანებას ვიგრძნობ, სამოთხეს ვიხილავ...

3. ეგნატაშვილი.

გრიგოლ ვოლესის საულავზე.

მშფოთარე ზღვაში მისცურავს ნავი,
მის მძლავრსა ტალღებს ის არ უდრკება;
მცირე რიცხვან ნიჩოსანთ ძალა
მწარე შეტევას მედგრად უცვდება.

ზღვა მძვინვარდება; არც გმირთასძინვთ,
იწვევენ მებრძოლთ ნავის საშველად,
ტკბილის იმედით იღჭურვებიან,

ნიჩბებსა უსმენ დაუსვენებლად.

მაგრამ უეცრად ერთი მათგანი

შავმა სიკვდილმა გამოაცალა;

მან არ დაინდო ბედკრული ნაკი,

მამაც გმირს ბრძოლა არ დააცალა.

აქ განისვენებს ეხლა ის გმირი;

ზღვასთან ბრძოლაში უტევა სული.

ახლაც გვითითებს იგი ნავისკენ

თვის ნათელ სახით დაღუმებული...

ოროდიონ ქაკაციძე.

3-ს. 66

შენი თვალები იმ დღისა მერე
ბნელს ცხოვრებაში გზას მინათებენ;
გულს დაწყლებულს, სულს აღშფოთებულს,
ვით ნამი ბალახთ, ასულდგმულებენ.

ვით კერას ჩამქრალს და მიბნედილსა,
ანათებს, სხივსა ჰერენს ნაპერწერი, —
ეგრე მაშვრალის ჩემი ცხოვრების
შენ ხარ მნათობი და იდეალი.

კ. აბ — პირელი.

ნიკოლოზობრივა შეკილი.

მეტეორივით ერთი წუთით გაშტანდა ჩვე-
ნი ცხოვრების პორიზონტზე ნიკოლოზ ბა-
რათაშვილი და მეტეორივითვე ჩერა გამჭრა.
მაგრამ ერთმა მისმა განათებამაც, ერთმა შის
ნიკის ფრთხის გაშლამაც კი უკვდავ ჰყო მი-
სი სახელი! ვინ არის ბარათაშვილი? ბარათა-
შვილი უუდიდესი პოეტი ქართულ ახალ ლი-
ტერატურაში. ბარათაშვილი პირველი, იყო
რომელმაც თავი ანება მანამდი გაბატონებულ
სპარსულ ლიტერატურის და პოეზიის მიბაძეს.
ბარათაშვილი პირველი პოეტი იყო; რომელ-
მაც თავი ანება დარღიმანდულ კილოზედ წე-
რას, რომელმაც პირველად ააუღირა თვისი
ჩანგი ახალ ჰანგზედ და დასტიროდა კაცო-
ბრიობის უბედურ ცხოვრებას! იმ დროს, რო-

დესაც აღ. ჭავჭავაძე თვის „ლოთებო ნეტავი ჩვენასა“ ქმნიდა, იმ დროს როდესაც გრიგ. ორბელიანი თვის „იარალს“ სწერდა, ბარა-თაშვილი სწორედ ამ დროს გამოდის ლიტე-რატურულ ასპარეზზე და ასე აუღერებს თვის ჩანგს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზ-
რუნოს!-ო“.

ამბობს ის. მას აწმუნ არ აქმაყოფილებს და პოეტი ჰვიტებს და ფიქრობს თუ „მისა წინაშე ჩვენი ცხოვრება, რად არის ფუჭი და მხოლოდა ამაოება?“. ბარათაშვილი პესიმისტია, მას ყველაფერი მოწყენით ეჩვენება, მაგრამ მისი პესიმიზმი ბოლომდის არ არის მიყვანილი, თუმცა არარაობად მიაჩნია ეს სოფელი, ბარათაშვილი იარალის დაყრას და უმოქმედობას, სიცოცხლის მოსპობას კი არ თხოულობს, როგორც შობენვაუერი, არამედ გვეუბნება: „მაგრამ რაღანაც კაცნი გვეკვიან—შვილნი სოფლისა, უნდა კიდევა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისაო“, ასკვნის ის.

რითო აიხსნება ბარათაშვილის მოვლინება ჩვენი ცხოვრების ყველაზე უშინაარსო და უფერულ ხანაში, იმ ხანაში, როდესაც საზოგადოება არც კი გვყავდა ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით? რითო აიხსნება ბარათაშვილის პესიმიზმი, ბაირონიზმი, რომელთაც პირველ შეხედვით ჩვენ ცხოვრებაში ნიადაგიც კი არა პერნდა? ყველა ამ საკითხების კოტად თუ ბევრად გამოსარკვევად ჩვენ იძულებული ვართ ცოტა უკან დავიწიოთ და აღვნუსხოთ მოკლედ ის ისტორიული ფაქტები და პირობები, რომელთაც შექმნეს ბარათაშვილის დროული ხანა, ხანა საზოგადოებრივობის უქონლობისა, ხანა ინდეფერენტიზმისა ქვეყნის ინტერესებისადმი, ხანა გულმოკლულობისა. აღვნუსხოთ ყველა ის, რამაც ასე თუ ისე გავლენა იქონია ბარათაშვილის პერზიაზე და მის მიმართულებაზე.

მე-XVIII საუკუნის დამლევს და მე-XIX დასაწყისს საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა: საქართველოს რუსეთის

ვასსალად გახდომა, რუსეთთან შეეცნებული პოლიტიკური აქტის წარმოშობის მიხედი იყო ერთის მხრივ შინაური უთანხმოება (ფეოდალების და მეფეების მიერ ერთმანეთში), მეორეს მხრივ გარეშე მტრებისგან დაცემა და აოხრება, რამაც ძალიან დაასუსტა საქართველო. ერთის სხვა და სხვა ნაწილი ერთნაირად არ შეცვედრია ამ პოლიტიკურ ცვლილებას: რუსეთის მომხრეები იყვნენ მსხვილი ფეოდალები, რომელნიც დიდ ჯილდოს მოელოდნენ რუსეთისგან და მიიღეს კიდეც. ამას გარდა მათ ყოველთვის უთანხმოება პერნდათ მეფეებთან და ამ აქტით კი მეფის უფლება ძლიერ მცირდებოდა და მერე მოისპონ კიდეც. ამნაირად ისინი ძველ ჯავრს ყრილობდნენ მეფეებზე. წვრილი თავად-აზნაურობის ნაწილი ერთგულად იცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, როცა მას საფრთხე მოელოდა. ერთგულადვე იცავდა დამოუკიდებლობას სამღვდელოება და შეგნებულნი მამულის შეიღლნი. გლეხობა, რამდენადაც რუსეთის მომხრეებმა მოასწრეს მათში პროპაგანდა, მომხრე იყო ამ აქტისა: მას იმედი პერნდა მშვიდობიანობის დამყარებისა და ბატონიშვილის პირობების შემსუბუქებისა. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. საქართველო რუსეთის გუბერნიად იქცა. არ შევუდგებით დაწვრილებით განხილვის ამ ხანისას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ხალხს ბეგარაში და ახალ შექმნილ გადასახადებში სული ხდებოდა. ამნაირად მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ყველა ამის შედეგი იყო ხალხის აჯანყება. მაგრამ, რაღანაც ეს აჯანყებები სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა იდგილს ხდებოდა, მათ ვერ მოასწრეს საერთო, მასსიურ აჯანყებად, რევოლიუციად გადაქცევა და ამიტომ რუსეთის გაწრთვნილმა ჯარმა ადვილად ჩააქრო. ამნაირად, ყველა ის იმედები, რომელთაც ერთ რუსეთის შეერთებაზე ამყარებდა, გაცრუდენ. ქართველობა მწუხარებამ, უიმედობამ მოიცვა. ამ უიმედობის, დაჩაგრულობის ხანამ გავლენა იქონია თვით ეპიკურის მიმდევარ აღ. ჭავჭავაძეზე და შეაქმნევინა „ოთხი ჰასაკი“, ლექსი, რომელიც პესიმისტურ გრძნობით არის გაეღმინთილი. ქართველი მამული შვილები სცდი-

ლობენ გამოხახონ რაიმე საშუალება ქეთენის დამოუკიდებლობის აღსადგენად, მაგრამ ამა-ოდ. 1832 წელს, პოლონეთის ოჯანების გავ-ლენით, მოხდა უკანასკნელი შეთქმულება, რო-მელიც შემთხვევით გამომჯღავნდა. მაგრამ შე-მთხვევაც რომ არ ყოფილიყოს შეთქმულება ნაყოფს ვერ გამოიღებდა. მეთაურნი ამ შეთქ-მულებისა უჯარო გენერლები იყვნენ: მათ კა-ვშირი არა ჰქონდათ ხალხთან, მის დემოკრა-ტიულ ნაწილთან. ეს შეთქმულება იყო უკანა-სკნელი ამოკვნესა საქართველოსა და ამის შემდეგ ცხოვრება მიყუჩდა: ერთ თითქოს და-ემორჩილა თვის ბეჭე. ქართველობაში უიმე-დობა უფრო ვრცელდება, ხალხი სასოწარკვე-თილებას ეძლევა და ვერაფერში ვერ ჰპოებს ნუ. ეშს: გულმოკლულობა და ყოველ-მხრივი ინდეფერენტიზმი, გულ; რილობა გამეფდა ერის და სამშობლოს ბედისადმი. არ იყო არავითა-რი საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოება. ცალ ცალკე მსხვილი გვარეულობანი ცხოვრობდნენ ქალაქებში და თვისი გვარიდან სამსახურში ვინმეს წარჩინება, ერის წარჩინებად მიაჩნდათ. ისინი ხარბად დაწაფნენ გარევან ევროპიულ კულტურას და დროს განცხრომა ფუფუნება-ში, ბალებში და სხვა ამისთანა გასართობებში ატარებდნენ.

სწორედ ამისთანა უფერულ დროს დაიწ-ყო ბარათაშვილმა წერა. ბარათაშვილი დამო-უკიდებლობას, ერის თავისუფლებას ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მას გული უკვ-დება, როცა მშობელ ერის ბეღში წიინააღმ-დეგს ხედავს. ბარათაშვილი დასტირის „ბეღისა ქართლისასა“. მისი ტანჯვა, ეროვნულ ნია-დაზე აღმოცენებული, უნივერსალურ, ბაი-რონისებურ ტანჯვად იქცევა. იმისთანა უფე-რულ დროს და იმისთანა „საზოგადოებაში,“ როგორიც მის დროს იყო, ბარათაშვილისთა-ნა დიდ ბუნებოგანი აღამიანი რასაკვირველია უფრო დიდ ტანჯვას განიცდიდა: ის ვერ შე-რიგებია აწმყოს, არარაობად მიაჩნია ის, კარ-გი მომავლის იმედისთვის არავითარი ნიშანი არა აქვს, პოეტი მარტოა ამ ქვეყნად. მარტოა სულით, რადგან თვისი სულისკვეთება, თვისი ტანჯვა ვერავისთვის გაუნდვია, რადგან მას

ვერავინ გაიგებს, მის ტანჯვას ვერავინ მიჰუ-დება. ბარათაშვილმა მშვენივრად გამოხატა თვისი მდგომარეობა ლექს „სული იბოლში“. დედის და მამის, ან ვინმე ნათესავის სიკვდი-ლი, დაკარგვა არაფერია, ამბობს ის, დამკარ-გვს კიდევ შეკლიან მზგავის მონახოს და შე-იყვაროს, მაგრამ „ძნელი არის მარტოობა სუ-ლისა: მას ელტვიან სიამენი სოფლისა, არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლისა... არღა იცის ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობაო“, ჰგო-დებს პოეტი. აქედან პესიმიზმი, უიმედობა და სურვილი განმარტოებისა, ბუნებასთან დაახლო-ვებისა და მისით დატკბობისა, რომლითაც გან-ირჩევა ბარათაშვილის ბუნება, ამ განმარტოე-ბაში ჰქმნის ის თვის „შემოღამება მთაწმინ-დაზედ“ და „ფიქრი მტკვრის პირზად“-ს...

პოეტს გულს კაეშანი ულტრნის და მწა-რედ ატირებს. ბარათაშვილი ყველა ამის მი-ზებს ეძებს და მიმართავს ბოროტ სულს, რო-მელისაც სახავს ყველა თავის ტანჯვათ მიზეზად. ბოროტ სულად პოეტი ჰგულისხმობს იმ ყოვ-ლად შეუბრალებელ ექვს, რომელიც გულში შეპარვია და რომელმაც წაართვა მას სულის სიმშვიდე და გულ უბრყვილო, ბრმა, ყმაწვი-ლური რწმენა. ეჭვი, ეს პირველი საფეხურია იმ კიბისა, რომელისაც ჰეშმარიტებისკენ მივ-ყევართ. ეჭვი ჰბადებს კრიტიკას, კრიტიკა კი ჰეშმარიტების გამორკვევას, და მის გამონა-ხვას. იგი ყველაფერს ანგრევს, რაც ჰკუაში არ უჯდება მაგრამ ანგრევს მისთვის, რომ ამ ნანგრევებზე სხვა, უფრო საფუძვლიანი და წინანდელზე ბევრად უკეთესი რამ ააგოს. ახლა წარმოიდგინეთ ასეთი მდგომარეობაც: კაცი ჰკარგავს ყველაფერს, რასაც აქამდი თა-ყვანს სცემდა, წმიდათა წმიდად მიაჩნდა, კარ-გავს ყველაფრის რწმენას, მას არაფერი დარ-ჩენია დაუნგრეველი თვის გულში და გარშე-მო და ამ მდგომარეობაში იგი ახალს, უკე-თესს ვერაფერს ხედავს: ძველის ნანგრევებია და ახალი კი არსადა სჩანს. ამაირად ეჭვის, ბოროტი სულის მსხვერპლი ხდება იბოლ სუ-ლად ამ ქვეყნად და მისი ცხოვრება არარაო-ბად იქცევა. პოეტი სწორედ ამ მდგომარეო-ბაშია. ის პასუხს ითხოვს ბოროტ სულისაგან

და უსაყვედურებს დაპირებათა შეუსრულებლობას, სწყევლის იმ დღეს, როდესაც გაუზიარა მან თვისი სიიდუმლონი და უმსხვერპლა ყველაფერი. ვაი მას ვისაც შენი მსახურელი, მძიმე ხელი მოხვდეს, ათავებს პოეტი თვისი მიმართვას. პოეტს, როგორცაც ვსთქვით, აწყვი აწყებს, ცხოვრება არარაობად მიაჩნია და უნდა მოშორდეს ამ ქვეყანას, მის სივაგლახს, არარაობას. მას უნდა ნიავს მისცეს თვისი ფიქრი „შავად მღელვარი“ და ეუბნება მერანს: „გასწი, გაპკურცხლე და შემიმკლე მოუთმენელსა სავალნი დღენიო“. დეე ნუ დამეცემა სატრფოს ცრემლი, დეე ნუ დავიმარხვი ჩემს სამშობლოში, შავი ყორანი საფლავს გამითხრის და ქარიშხალი ზარით, ლრიალით მომაყრის მიწას. შენ კი მერანო 『გასწი, გაფრინდი, გარდამატარე ბედის საზღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონს შენი მხედარიო“, ე. ი. ბედს დამორჩილება არ უნდა, რაც ძალი და ღონე შეგწევს ადამიანო, უნდა ებრძოლო მას, „არ ემონო“ თუნდ ეს ბრძოლა სიცოცხლედაც დაგიჯდეს! აქ ბარათაშვილი ბრძოლის ჰქადაგებს; ბრძოლას ცხოვრების შემხუთვევ პირობებთან! ბრძოლის ხალისს უდვივებს მისი ნაყოფიერება: მან იცის რომ „ცუდად არ ჩაივლის მის განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, მისგან თელილი, მაინც დარჩება. რომ მის შემდგომად მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შევის ბედის წინ გამოუქროლდეს“. ბარათაშვილმა მშვენიერი ლირიკულ ლექსების გარდა, დასწერა კიდევ შესანიშნავი პოემა, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი უჭირავს: ეს არის „ბედი ქართლისა“.

ბარათაშვილი სხვა მხრივადაც განირჩევა თვის დროულ და წინამორბედ პოეტთაგან. იმ დროს, როდესაც მთელი მაშინდელი და წინაძელი პოეზია, სპარსულ პოეზიის გავლენით, მხოლოდ ფიზიკურ სიყვარულს შესტრფოდა, აღმერთებდა და მასში პპოებდა თვისი იდეალს, ბარათაშვილი სხვა სიყვარულზედ გვიმღერის და გვითითებს, ის სიყვარულს ამყარებს ორ არსებათა სულიერ ერთობაზედ და არა ფიზი-

კურ ლტოლვილებაზე. პოეტი ეუბნება მის მიზანის: მე მინდა ვიყო მზე და შენ კი ციური ცვარი „რომ განაცოცხლო შავარნო, მღელო სიცხითა დამჭუნარიო“. ასე ერთად უნდა ემსახურონ ერთ და იგივე მიზანს ორი არსება. ბარათაშვილის აზრით „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების, და ვით ყვავილი თვისის დროზე მსწრაფლად დაკენების“. მშვენიერება კი, ე. ი. სულიერი, „ნათელია, ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“, რვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემოხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს. მხოლოდ კავშირი ესრეოთ სულთა ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა! ამბობს პოეტი.

ამნაირად ბარათაშვილი პირველი პოეტი — მოქალაქეა, რომელმაც თვისი ჩანგი საზოგადოებრივ ჰანგზე მომართა. პოეტი კრიტიკულად შეეხო ცხოვრებას და პესიმიზმი მისი ცხოვრების დაკვირვების ნაყოფია. *) ისტორიულმა პირობებმა შექმნეს ჩვენს ისტორიაში ის უფრესული ხანა, რომელშიაც ბარათაშვილი ცხოვრობდა და რომელმაც უფრო გააძლიერა მისი ტანჯვა და უმედობა. მიუხედავად ყველა ამისა, პოეტი დროს არ მიჰყა, შეეხო თვის ნაწერებში საკაცობრიო, საჭირბოროტო კითხვებს არსებობისას და ამნაირად თვისი წვლილი შეიტანა ცხოვრებაში, ლრმა კვალი დამჩნია ქართულ ლიტერატურას და დიდება ყველა ამისათვის ბრწყინვალე პოეტს!

ქრ. რაჭ — შვილი.

დადმიანს.

ოდეს ცხოვრებამ დაგჩაგროს ბრძოლით, თანამიაზრე არავინ გყავდეს, ოდესაც ხალხი გესლით და შურით კეთილისათვის მტრობას გიზავდეს, —

შენ ნუ შედრკები... წინ გასწი მარად, გაპფანტე იქვი, შური და მტრობა,

*) რასაკვირველია გავლენა იქონია პირადმა ცხოვრებამაც, მაგრამ ამასე შემდეგ გვინდა მოვილაპარაკოთ, თუ დრო გვექნება.

გწამდეს ცხოვრების წმინდა მიზანი
და შენი ერის კეთილ-დღეობა!

და ამ აზრითა შენ გამსჭვალული
გასწი წინ!.. ჰყაფე გზა ეკლიანი;
„გახსოვდეს რომ ხარ მეფე ბუნების:
კეთილ-შობილი ადამიანი“...

გ. დეკანოზიშვილი.

ხვალ ვისწავლი!

(სურათი)

უფროსი კლასის მოსწავლე ნიკომ, სას-
წავლო წლის დამდეგს ორნაირი პირობა და-
უდო თავის თავს:

— ვიცი ჩემი თავის ამბავი, ცისმარე დღეს
უველა გაკვეთილების მომზადება ჩემი საქმე არ
არის, სთქვა ნიკომ, მაგრამ შეოთხედის ბოლო-
ში, დადგება თუ არა ნიშნების დაწერის დრო,
ისე ერთგულად მოვყიდებ სწავლას ხელს, რომ
ყოველ წამს მზად ვიყო განვლილი საგნები
საუკეთესოდ ჩავაბარო.

ამასთან ვე ვეცდები სასწავლებელში მუ-
ყაითად ვიარო და თუ ჯანმრთელობამ არ მი-
მტკუნა, ერთ გაკვეთილსაც არ გამოუშვებ
მოელ წელიწადში.

ნიკო სცდილობდა ხასიათის სიმტკიცე გა-
მოეჩინა და თავის გადაწყვეტილებისთვის გვერ-
დი არ აექცია.

მეოთხედის ბოლო დღეებიც კარზე გვა-
დგა.

ჯერ ისევ ექვსი საათი იყო, როცა ნიკო
სასწავლებლად მაგიდას მიუჯდა.

ოთახში უცებ ყველანი მიჩუმდნენ. მხო-
ლოდ ნიკოს პატარა და თამრო არ ისვენებდა,
ცელქობდა.

— ამის ჭრიჭინმა ილაჯი წაილო, შესჩივ-
ლა ნიკომ დედას: რა ციყვირით დახტის, მა-
გის წყალობით თავში აღარაფერი შედის!

თუმცა თამრიკო ჭირვეულობდა, მაგრამ
ჩერა ძალით მიაძინეს.

ოთახში საათის რაკი-რუკი მკაფიოდ ის-
მოდა.

ნიკომ ჯერ გაზეთები გადაათვალიერა, მე-
რე რაღაც რომანის ფურცლებს გადაპრა თვა-

ლი; თავისი გვარი ოთხჯერ-ხუთჯელ ჰყოფის
სოებით დასწერა; კარანდაში დიდის სიფა-
ქიზით სამჯერ წვერი წაუთალა, შემდეგ ერთი
მასწავლებლის „ფათრეთი“ დახატა და ბოლოს
როცანასა, რომ ამასობაში ორი საათი გასუ-
ლიყო, საჩქაროდ წიგნებს ხელი მოჰკიდა.

— ამ, ღმერთო ჩემო, ამისთანა უბედუ-
რობა გაგიგონიათ! შეცყვირა ბრაზმორეულმა
ნიკომ, როცა ხვალინდელ გაკვეთილების სიას
თვალი გადაავლო: ისტორია და ლათინური
ორივე ერთ დღეს?! მოდი ახლა და ამათ სა-
მართოლი ჰქითხე! ისტორიაში ხუთი ფურცელი
გვაქვს, ძველის გამეორებაც საჭიროა, ვიცი
„ხარაბუზას“ ამბავი: მარტო გაკვეთილს ხომ
არ დასჯერდება, უსათუოდ ძველიც უნდა ჰქი-
თხოს.

ლათინურში ოცი პწყარი გვაქვს გადასა-
თარგმნად, უველა სიტყვა ზეპირად უნდა იკო-
დე, ამას არდა გრამატიკასაც უეჭველია გვკით-
ხავს მასწავლებელი. კანკლედობა, ბრუნვა
და ათასი სხვა ჯანდაბა უნდა ვიცოდეთ, რომ
საცოდავ სამიანს ველირსოთ!

გერმანულის მასწავლებელმა ხომ გული
გამიწვრილა, ტყუილად კი არ ეძახია „მელკი
ტავარს“. სულ კლასში დარჩენით იმუქრება.

მგონი ათი ფურცელი გავიარეთ ამ წელს
და ხეალ სულ ერთად მომთხოვს.

აბა როგორ უნდა ვუპასუხო, როცა ერ-
თი გვერდის შინაარსიც არ ვიცი. იმ დღეს
უარზე დავდექი: შემდეგ გაკვეთილზე ერთად
ჩაგაბარებთ მეთქი; მაშინ მაღროვა, მაგრამ ახ-
ლა ეს ხერხი ველარ გამიჭრის.

თუ ლაპარაკი გამიბა ხომ აღარ გაათავებს:

— გეყოფა ამდენი დაპირება, სულ შენ
ხომ არ გილოლიავებ, სხვებსაც უნდა ვკითხო.
შარშანდელივით მთელი წელიწადი უარის
თქმით ხომ არა გსურს გააჩანჩალო? არ გეგო-
ნოს, რომ კიდევ თავი მომიქნო, ან შენ ნა-
ირ-ნაირ დაპირებებს ყური ვათხოვო და უკო-
დინარი შემდეგ კლასში გადაგაბრძანო. დროა
კუუა მოიკრიფო, თორემ მერე გვიანდა იქნება,
როცა კლასში დაგარჩენ!

ჩვენი „მოხვერას“ ალექსს მიქელ-გაბრი-
ელის კოცნა მირჩევნია:

— აბა, ჩემო კარგო, გადაგვიშალე შენი
გონების სალარო, მეტყვის, როცა დაფასთან
გამოვალ: რას გაჩუმებულხარ და მორცხვი პა-

ტარძალით თავი ჩაგიქინდრავს, სთქვი რამე, თორებ შენ მეგობრებს ეგონებათ, რომ გაკვე-
თილი არ აცი...

რატომ არ გისწავლია გაკვეთილი, ძვირ-
ფასო ნიკო, „ჩიჩიას ნაგლეჯო“, ნიჭი არა
გაქვს?

— ნიჭი როგორ არა მაქვს, მაგრამ...

— მაგრამ... ჩურჩხელა მოგ შივდა?

აბა მაგაზე როგორ გაწყეინებ? დაბრძან-
დი შენს ალაგას!

მერე რანაირი „ერთი“ს დაწერა იცის:
ისე მაგრა ჩამოუსვამს, რომ საშობაო ძეხვივით
ჩამოასქელებს ხოლმე.

ამითანა კაცთან ადვილად ფონს ვერ გა-
ხვალ!..

ვაიმე დედა! სულ გადამაზიწყდა, რომ
ხვალ მათემატიკაში სამუშაო უნდა დავწეროთ!
ხვალ გილასწყდება ამ მეოთხედში ვის რა ნიშ-
ნები ეწერება. მე კი არაფერი გამიმეორებია!

აბა, როდის უნდა ვისწავლო ამიდენა
გაკვეთილები!

არ ვიცი ღმერთმანი ამ ხუთ საგანში რო-
მელ ერთს მოვყიდო ხელი!

გული მეყრუნჩხება!

თავიც მიბრუის!

მოდი და თავის მკვლელობაზე ნურას
იფიქრებ!

— ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ... ტიკტიკებდა სა-
ათი და სადღაც მიეშურებოდა.

კუთხეში ნიკოს დედა ვილაცას მოკრძა-
ლებით ეჩურჩულებოდა:

— ამ ბოლოს დროს, ჩემი ბიჭიკო ერთ-
გულად მეცადინებს!

სანათი მაკიდაზე ისე საცოდავად ბჟუტავ-
და, თითქოს საძილოდ თავი უკვდებაო.

ნიკომ წიგნი გადაშალა, შიგ ჩაიხედა და
ორჯელ გემრიელიდ დაამთქარა.

— დაწერი შეილო, უთხრა დედამ: აგრ
თერთმეტი სრულდება, ბევრი სწავლა ჯან-
მრთელობისათვის მავნებელია!

ნიკოს მზა-მზარეულიდ გაშლილი თბილი
ლოგინი გაახსენდა და ისე საამურად დაამთქა-
რა, რომ ცრემლები წამოსცვიდა.

დაწოლის დროს შესანიშნავი აზრი მოუ-
ვიდა ნიკოს თავში:

— ხვალ სკოლაში არ წავალ, სამაგიეროდ
რაც ამ წელს გაგვივლია თავიდან ბოლომდი
კარგად გავიმეორებ და ახალ გაკვეთილსაც ვი-
სწავლი.

თავის-თავის კმაყოფილი, დამშვიდებულის
სინიდისით თბილ საბანში ლაზათიანად გაეხვია
და ოვალები ტებილად მიღულა.

ცოდნა.

თვითმკვლელის წერილი.

ქ. კავკავი თავი მდივან ერთმა გიმზ. IV კლ.
მდჩავებელ, 15 წლის ბაბიგებომ. გაზეთ „რეგბი“
დაბჭყდილია მასგან დატვებული წერილი. ეს წე-
რილი ჩეებ ძლიერ საინტერესოდ მიგანჩნა და ამი-
ტომ სრულად ვაჭრდავთ.

„შეიძლება ჩემს შემდეგ დარჩენილთა შორის
დამზადებული გინმე, რომელიც ჩემი სიკვდილის მი-
ზეზის გაგებას მთისურვებს. უკეთადოს მოქმედა,
ასესა — შეუძლებელია! შეტან უძლეურია ამისთვის
ადამიანის ენა და გრძელებული ჩემი! შეიძლება
ბეჭრმა სთქვას: „სუსტი იყო და სუსტების კი ცხო-
ვრებაში ადგილი არა აქვთ, უთუთდ უნდა დაიდუ-
ბოხ!“ და ეს სთქვას. არ ვატევი რომ, ისინი რო-
ცა ამას ამბობენ თავსაც ატეკებენ და სხვასაც. ამ
შემთხვევაში მათი სეჭმდღვანელი შიშა, შიში სი-
კვდილის წინაშე. სტეფან ისინიც, ვინც მწესარე-
ბით, ნაძალადევ გაოცებით, ან კიდევ სასოწარევუ-
თოლებით იძახას: „ეს რაღაც ეპიდემიათ.“ შირ-
ვალი, ატეკებენ, შეთრენი სცრულებენ, რადგან აქ
სისტემზე არ არის საქმე; ამა ერთი გადაშინჯონ
თვისი წარსული, რამდენ ამ გზარ წერილებს ნა-
ხავენ, თვითმკვლელების მტკაცე გადაწყვეტილებით!
ზოგიერთი ამას ისე ვერ მოაგონებს, რომ არ გა-
წიათლდეს, ეს სირცხვილი მათ კი არ არის გამო-
წყველი, როგორც თვით ირწყებიან, რომ იმდე-
ნად დაეცნენ სული, იმდენად დაკავშირდნენ, რომ
სიცოცხლეებსთან გამოსალმება და: მარე, არამედ მით
რომ ძალა არ შესწოდა თვისი გადაწყვეტილება
აესრულებინათ.

მე შირვანად მიტომ კი არ ვიკლავ თავს, რომ
სასოწარევუთოლებაში ვარ ჩავარდნილი, ანდა ცხო-
ვების მეშინა, არა, სასის წარსაკეთად არავი-
თარი მიზეზი მაქანი, ჯერ კიდევ შირველი შეოთხე-
დია და ცხოველებასაც არ შემინა... მე მას ვიც-
ნობ... მაგრამ რაც გნახე და გაფიგონე მაძულების

თვით მ:ღლა აფრით, ხმა ამთვიღდო! იძულებული გარ ჩემი პროცესტი განკაცხადო.

აქმდის უმნიშვნელო ვიზუა, ჩემი ხმა თეუ- ბოდა „სმად მდაღალებლის უდაბნოს შინა“, „ეს- ლა კი უფეხლი ჩემი სიტემა კუბოდან არის მო- ძახილი, სიკვდილის დაღი აზის, იმ სიკვდილისა, რომლისაც აგრე გეშინას, თრთით და ჰქონებულით მის წინაშე! ჩემი სიტემა კულები ჩაგრძებათ რად- გან „მკვდარნი არ სცრულდეს.“

დგომის გულისთვის დამერწმუნებთ, რომ აშ პროცესტი ცხვერება არ შეუძლა ახალგაზღდობის დიდ უმრავლესობას. დამერწმუნებთ, რომ საგნების უმრავლესობა სამაგლად არის დაუკენებული სასწავ- ლებულებში, რომ უკანტროლოდ დარჩენილი ბედა- გოგება სრულიად არ ასრულებენ თვის შირდაპირ მოვალეობას! განა მათი დანიშნულება მხრილდ გა- გვეთადებულ შეუათად სიარულში მდგომარეობის? რა მიზანი აქვთ გიმნაზიაში სიარულს, თუ კი არა- ვერს გააკთებენ?

თვით მე ვსწავლი და ვიცი როგორ უნდა და როგორ შეიძლება სწავლება. ვიცი რომ თუ საჭ- მის გაკეთების ხალისზე არ ვარ, ვმარტოდება, ვმიზეზიანობ და მოწავეს ვაწვალება, მინდა ძალით შევაგნებინო რამე მას, ე. ი. მოედ სწავლების სი- მძიმეს და სინერგეს ერთ მხარეს ვესკულურება, ჩი- ნი შედაგობები კი გუნდებაზე არასოდეს არ არის და არც ხალისი აქვთ როგორმე: ამიტომ შრომა და წყალება ჩვენ გვაწვება კისერზე, იძულებული ვართ როგორით მორჩილი გავწიოთ. მაგრამ ერთი მიმართებულ გიმნაზიაში რისთვის დავდივართ? მისასუხებთ რომ ეს ძელის ძელია, უველამ უწესის რომ გიმნაზიაში მხრილდ დიმილმისთვის დავდივართ...

დას, თქვენ ამას შეგწევით, შეურიცდით აშ ზრს, მაგრამ და ჩემმა სიკვდილმა თავალება აკა- სილოთ და სერვები აკიშლოთ! გასხვედეთ, ჩემი სისხლი იმ სისხლის ზღვის მიემარება, რომელიც საზოგადოების უუკრძალებობის და გულგრილების კამო დაღვრილა. და ჩემი სისხლის წვეთი უკანას- წნელი იქნას იმ ზღვაში, რომ ჩემა დაბეჭეს დრო, როდესაც ის ხანისების გადაღასაც და წალებას იმ მინდვრებს, სადაც თქვენა სცხოგრებთ, უკულოებო, იძულებულ გულო გამოერკვათ, გამოიღიოთ.

რამდენჯერ მეშის კლასში საშინელი სიტემა, სიტემა თვით ჭავლისთვის, სიტემა, რომლის სე- ხებაზე თმა ვაღებულ დგენა და ეს სიტემა ჩვეულე- ბრივია, ჩვეულებრივი სიდინამით წარმოთქმული; „კლასის გაწმენდა.“ გრძელობათ თუ არ იმ საშინე-

ლებას, რომელიც ამ სიტემაში ისმის? ადამიანის თვის წრეს გვიდებულ და სახავე თრმოში აგდებენ. განა დამხაშევე ის ხე, რომელიც გამოყენებულ შე- ბადის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა და სწა- რე გერ გაიზარდა, გამოყენება? დამხაშევენი ვართ გრძელი რომ სტრატეგია გვასხინების? სად ეჩვენა ადამია- ნა შეციტულად ცრულებას? სად ხდება ადამიანი სამდგრა- მსეცურ სისასტრივეს? სკოლაში, სკოლაში და სკო- ლაში! განვი რადის იძენ? არავერს, მაგრამ უ- თავრეს სტუდენტობას სამდროთ სტუდიას სწავლე- ბის დაუკენებაში მდგრადობის. მის მაგივრად, რომ აშ საკანი მოუკავშიროს სიუგრული და სათხოება გა- ნამტკიცოს ჩვენში, მხრილდ სიმულაცის იწყევს. და ცოცხლებმა გითხრან თქვენ რა მიზნით სახმენ თრიანების სამდროთ სჭ?.. აიძულონ ისწავლონ? მა- გრამ სამდროთ სჭ. მიზანია ეკლესის მიმდევარნი შექმნას, ეს ხომ შეესაბამობა, სისულელე არია- ნებით, ე. ი. ბროლობებით პეტიციი ეძიო! განა სამდროთ სჭ. მასწავლებლის მოვალეობა ის რა არის, რომ სიევარული გვასწავლის, ქრისტიან მცნებაში ადგიზარდოს? დღეს, 8 ნოემბერს, მე მივხვდი თუ როგორ უნდა სამდროთ სჭ. სწავლება: მდვრელი მხრილდ დკონის სიტემის მქადაგებული უნდა იქნა, რწმენა ჩაგდენერგოს გრული და არ გაგვთავლების კითხვას მოუნდეს. თქვენ იტენიო: იჯადური მიმ- დევრები ქრისტიანი არ ასებდებენ, ესენი კი უ- წმენასა :რიანს, ვერ გაუგა თ ქრისტის მოძღვრება, აშ შემთხვევშია რისთვის გაინდა ისინი? მებოთ, მე მოწავლის რომ ჩემი სისხლი ტემპიალად არ იღვ- რება და თქვენ ახალგაზღებო, არ დაივიწებო მთა- მოთ ის, რისთვის ბრძოლაში ჩვენ თხ გადაკვირას.

მე მგრინა დრო საზოგადოებაში სერიაზედი უკანას მიაქციოს თვის ახალგაზრდობის ცხოვ- რების და აღზრდის სქმეს. და ბრძოლა და ბო- ლოს მაიც წინ შეგდეს წამებულ სულთა ტა- ვების.

სპოლის პროცესი

♦ როგორც ვაუგების მეორე გიმნაზიიდან გვატყობინებენ, ქართულ ენას ვერ მოუპოვე- ბია „მოქალაქეობრივობა“ მოსწავლეთა შო- რის. სამწუხაროდ ბევრი მოვალედ არ სოვლის თავს ამ სავანს ანგარიში გაუწიოს.

♦ თბ. მთავრობის რამდენიმე სასწავლებე- ლში ფაქტურად არსებობენ ქართული ენის გაკვეთილები, მაგრამ „ფიქტურ“ ნაყოფს იძ- ლევიან.

◆ ბათუმის ქალების ქიმნაზიის უფროს კლასებში ქართულს არ ასწავლიან.

◆ თბ. ქართულ გიმნაზიაში ორმოციოდე ყმაწვილი თავად-აზნაურთა სტიპენდიას იღებდა, ბოლო ხანს, ორიოდეს გარდა, ყველას მოუსცეს.

◆ თბ. ქართულ გიმნაზიის გამგემ ამას წინად სამ. ოლქის მჩრუნველისაგან მოწერილობა მიიღო, რომ სასტიკად დაცულ იქმნას მოწაფეთა მიერ წესდებანი, სხვათა შორის, ფორმის ტარება.

◆ ამავე გიმნაზიის უფროს კლასებში ისტორიის მასწავლებლად მოწვეულია პოლიკარპე იოსელიანი, ყოფილი რედაქტორი უურნალ „შეკლა ი ეიზნ“ისა, რომელიც ბაქოში გამოდიოდა.

◆ თბილისში არსებულ აგრედ-წოდებულ ლევანლოვსკის სასწავლებელში, სადაც გიმნაზიის კურსს გაფართოებულ პროცესით გადიან, საგრძნობი ნაწილი მოსწავლეებისა ქართველობაა.

◆ ვაჟების პირველ გიმნაზიაში ქართულ ენის გაკვეთილები ყველა კლასებში მისცეს ალ. ციმაკურიძეს. რითი იხელმძღვანელა გიმნაზიის მთავრობამ, რომ სხვა მთხოვნელი უკან დასწია და გამარჯვება ციმაკურიძეს არგუნა. საოცარია!

◆ თბილ. სასულიერო სემინარიიდან დათხოვნილ-იქმნა მეოთხე კლასის მოწაფე არონიშიძე. მას აბრალებენ წერილის დასტამბვას „მოწაფის“ ნომერში, გამზარდიას წინააღმდეგ.


◆ როგორც ბათუმიდან გვატუბინებენ, ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიაში ძლიერ შეამცირეს ქართველ მოწაფეთა რიცხვი. შეშვიდე კლასში 2 ქართველია, 8-ში რვა.

◆ ქუთაისიდან გვატუბინებენ, რომ ადგილობრივ ქალ. ზავედენის მოწაფენი ბათუმს წვევიან საექსკურსიოდ.

◆ როგორც ვიცით, თბ. გიმნაზიების მოწაფენი ქუთაისს ესტუმრენ, სადაც გამართეს საგიმნასტიკო ვარჯიშობა. ქუთათური მოწაფენი მათ აღტაცებით მიეგებნენ. გიმნაზიელები ქუთაისიდან ბათუმს წავიდნენ და იქიდან თბილისს დაბრუნდნენ.

◆ თბ. ქართულ გიმნაზიის მე 7-ე, მე 6 და 5 კლასიდან დაითხოვეს რვაოდე მოწაფე. მიზეზი გაკვეთილების გამოტოვებაა.

◆ ამავე გიმნაზიის უფროს კლასებში ქართულ სიტყვიერების გაკვეთილები დაიკავა პეტრე მირიანაშვილმა.



თორთოდე წიტეებ მოწაფეთა ზექუბაზე.

მოწაფეთა შორის იბადება ზშირად აზრი იმისთვის წრის დარსების შესახებ, რომელიც მიზანდ დაისახავს განვითარებას, როგორც გონებრივს, ისე ფაზიკურს. ახალგაზღობა არის ხანი, როდესაც ადამიანი ფართო კულტურულ მიზანს ისახავს, ამიტომ აქ იბადება ახალ სამშობლოს წარმოშობის, მის ყოველმხრივ აყვავება აფერჩევნის იმედი და ნამყოს ნაგრევებზე ახალ საძირკვლიან ცხოვრების აღიცევება. ძვირფას სამშობლოს წინმსვლელობისთვის კი საგირია, რომ ის ახალი ძალები, რომელიც უნდა შეუდგეს ამ საქმეს სულიერად ამაღლებულნი უნდა იყენენ და ზეობრივიად განსპეციალული. ვინც ჩვენ ახალგაზღობას მიაქვედა კურადღებას ნათელს ყოფდა, რომ არც ეს უკანასკნელი ჩამორჩა როსეთის მოსწავლეასალგაზღობას გონებრივ განვითარებაში. მაგრამ, თუ გონებრივი განვითარება ადამიანის საუკეთესო მხარე, ჩვენ შეგვიძლია ესთეტიკური განვითარებას აღიარებოთ მასწავებს ზეობრივი განვითარებას გვალია, ჩვენ მისწრეფებათა განცხოველებას აფერჩებს ამ ძვირფას განძის უქონოლობა. ჩემი უკრადღება მიიცემა ამ ბოლო დროს შემჩნეულმა ზეობრივია დაქვეითებამ, თუ მოწაფემ მიზანდ დაისახა განვითარება, ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობით, ეს იმას ნიშავს, რომ მან ყურადღება უნდა მიაციოს ზეობრივ განსპეციალუებასაც, რაც მოასწავებს მის პიროვნულ განვითარებას, როგორც ადამიანისას: ამის ნიადაგის მოასმარებლებად საჭიროა კოლექტიური მუშაობა მოსწავლე-ახალგაზღობის, რაც წრების შედეგნაში უნდა გამოიხატოს. სწორედ ეს წრები, რომლის დედა-ძალვი მოსწავლე-ახალგაზღობაში ზნეობრივ სინსპეციას პრინციპს უნდა ქადაგობდეს სასურველ ნაკოფ გამოიღებს ამ საქმეში. მოწაფეთა ჯეუფებმა, ემსახურება ის თვითვანევითარებას, თუ ღარიბ მოსწავლეთა ქონებრივ დაბარებას, პირველად ზნეობრივი სიკითხი უნდა წამოჰყენს, კინაღან მოწაფის ზნეობრივ ამაღლებას ექვედებარება მისი შექსოვა საზოგადოებასთან და ერთან. მოწაფეს პიროვნება უმაღლეს ზნეობრივ წერტილისკენ უნდა ესწავლოდეს, რადგან მას დიდი მოვალეობა აწეს მომავალში ოჯახის და მთელ საზოგადოების წინაშე. საყურადღებოა ის მოვლენა, რომ მოწაფეთა ზნეობრივ დაქვეითებაზე დიდი გავლენა იქონია რუს და საზღაო-გარეთის ზოგმა ახალგაზღა მწერალმა, რომელიც თავისუფალ სიყარულის პრინციპს ქადაგობდნენ.

მოწაფის ახალგაზღა ბუნებამ თავისი არ დაიშალა და ერთის შეტევით ჩაეფლა დუხშტირ ატმოსფერაში, რაც მას მოლიპულ გზაზე მოაქანებდა. სამწუხროდ ამ უკანასკნელმა მიზანს მიაღწია და დიდი ზიანი მოუტა-



ხა მათ ნორჩ გულს. ეს დაქვეითება გამოიხატა უანგარიშო ცხოველურ ლტოლვილებაში, რომელსაც ვ ნერიული ავად მყოფობა მოჰყევა, აქ კი იწყება სავსებით ზენობრივი სიკოტრე და შეუმჩნევლად „თავისიუფალ სიყვარულით“ გატაცებულ ახალგაზრდობას სულიერი ძალა ეცლებოდა და მათი ნათელი მისწრაფება პორიზონტიდან ჭრებოდა. დაეკარგათ რწმენა მომავლისა, ერთი სიტყვით გასწყდა სულიერი ძაფი ბევრ მოსწავლე-ახალგაზრდის და საზოგადოების შორის. საქმის გამოსაკეთებლად ამ ძაფის ხელახლა გაბმა იყო საჭირო, ამას კი შესძლებდა მარტო ამზადეული თანაგრძობა და ხელის შეწევა, რასაც ჩენ ყურადღება არ მივაქცი თ. საჭიროებას წარმოადგენლა ჯვარების შედეგნა, რომელიც გამოუცხადებდა ბრძოლას ზენობრივ დაქვეითებას „თავისუფალ სიყვარულით“ გამოწვეულს და შეაყენებდა სენს. იმ დროს, როდესაც საზღვრა გარეთ ამ გვარ ჯვარს დიდი ყურადღებას აქცევნ მოწაფენ და ენერგიულად მუშაობენ, რათა მოწაფებში უზნეობა აღმოფხვრან, ჩენ ხელ-დაკრეფილი ეზიართ. ასე ეგროპიელ ქვეყნებში არსებობენ აგრე წილებულ „ზენობრივი საზოგადოება“, თითოეულ მათგანს რამდენიმე ათასი წევრი ყავს. სასურველია ამის დანაგვარ წრის და რსება ჩენში. „ჰემარიტი წავლა მიუღია მხოლოდ იმას, ამბობს ექიმი კორნიტი, ვისიც სწავლა და განათლება ზენობაშია და არა ცოდნის სიმრავლეში.“ ზენობას ყველა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლა-მაც. იგივე ექიმი განაგრძობს: „სკოლის მოვალეობაა ადგინანის ამ ძვირფას განძის (ზენობას) ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. სკოლა უნდა ფიქრობდეს არა მარტო გონიერივ განვითარებაზე, არამედ ზენობრივზეც“. არ შემიძლია გულწრფელად არ მივესალმო ერთ ქართველ ჰედაგრების სიტყვებს: იყავით ლამაზნი, ვით დილის განთიადი და წილინდა, ვით ბროლი. ზენობრივ ამაღლებულ მოწაფის წარმოშობა შესაძლებელია მაშინ, როცა მათ მიერ წრების შეკვრის გარდა, მასწავლებლებსაც სულიერად დაქართესავებიან. იმავ ჰედაგრების სიტყვით „სკოლა საავადმყოფო არ არის“, — მაგრამ საავადმყოფოდ ხდება, რადგან დიდი უფსკრულია მოწაფეთა და მოწავლებელთა შოთის. თუ გვინდა პრინციპი უმანკოებისა და ზენობრივ სიტყრფისა ერთ არსებას შეადგენდეს მოწაფეთა ბუნებაში, საკიროა მტკუცე კაფირის დამყარება, ერთის მზრივ, მოსწავლეთა ზორის წრების შემწეობით, მეორე მზრით, მათ და მასწავლებლთა შორისაც.

გ. გამრეკელი.

პატივცემულო ჩედაქცია!

საშუალება მიბორეთ ჩემი აზრი გამოვსთქვა ბ-ს ბენ-ის წინადადებაზე ბ-ის მიმართ! „მომავლის“ 57 ნომერში ბ-ნი სამედიატორო სასამართლოში იწვევს ბ-ს. დიდება შენდა ალახო-გამკირვებია! რად დასჭირდა ამ ვაჟაპატონს ასეთი დაგვიანებული სამ. სასამართლო? ან რაღა სწორეთ მაშინ მოპპრიანდა, როდესაც მფარველი ანგელოზი წაუვიდა? დიახაც რომ ამ სამ. სასამართლოში სხვა ძალის თავი არის დამარტული!. შარშან 1909 წელს მასში, როდესაც იურიდიულიც და მორალურ მოვალეობა მოითხოვდა — არ იხმარა ეს

კულტურული საშვალება; დასწამა ბ-ს ცილი, წაბრძანდა სადაც ჯერ არს ჩაასმინა — კაცი სასწავლებლი-დან გამოარიცვინა და დღეს სამედიატორო სამ. დასჭირდა! ჯერ უნდა კაცი დასაჯონ და შემდეგ მისი დანაშაულნი (თუ აქვს ისიც) გამოარკვიონ! სწორედ ძალიან ორიგინალობაა!! მაგრამ ამას სულ სხვა სარჩული რომ პქონდეს?! არაგითარი საბუთი არა მაქვს არ ვიფიქრო, რომ მას სხვა არ აინტერესებს. მას სურს: ბ-ლი თავის მედიატორებითურთ (შეიძლება თავისებიც) მიიტყოს დანიშნულს ალაგს; შემდეგ (იქნება-რა წინაშარ სადაც ჯერ არს ჩასმენილი) თავზე ვინც ჯერ არს ისინი დასცეს: კრებას არ-ლეგალური ხასიათი მისცენ და ბ-ს ვირის აბანოში ამოაყოფინოს თავი მედიატორებითურთ. „თითონაც ხომ იქ იქნებაო“ შეიძლება მითხარას ვინჩემ. მაგრამ „გუთნის დედათ ვისაც ქრისტე ღმერი ჰყავს მას გუთანი არა როდეს არ მოუცდება.“ შეიძლება ის აწუხებს, რომ მფარველი ანგელოზი რაკი გაუფრინდა ეხლა მარტენივ არის გაღობა საჭირო? ან იქნებ რამდენ ტრაგედიების გამომუშავება სწადიან? ყოველივე შესაძლებლია მისება. შეიძლება ესცე ახარებდეს, რომ ბადალი იცის რა რომ არ გვა მათთან სამ. სას. ის საბუთს იშვიის, რომ სთქვას „იმიტომ არ გამოვიდა სამ. სას. რომ მტყუანი იყო — ი! შეიძლება!.. მხოლოდ კი ამით მარტო ბ-მა და მისმა კ-ი ინუგეშოს თავი და ქუჩაში უსამართლოდ (და ბენ — ის დასმენით) განლევნილს ბ-ს კი იცნობენ ამხანაგები!...

ან.

S. P. კადევ მრავალი საბუთ-მოსაზრებანი ჰედინი შემდებელს ამ ს. სას.

ან.

რედაქციის საგანი.

თუმცა „პირველ ტალღაში“ ჩვენზე ბევრი ცილის წამებაა, მაგრამ პასუხს არ ვაძლევთ, რომ უთავ-ბოლო პოლემიკა დასაწყისშივე მოვსპოთ.

ხელ მეორედ მიერმართავთ პროვინციელ ამხანაგებს, მოგვაწოდონ მასალები. იმ ამხანაგებს, ვისაც № 1 ანგარიში არ ჩაუბარებიათ, საჩქაროდ გაასწორონ. ფული შეიძლება მარკებითაც გამოიგზავნოს, თუ არ აღემატება ვ მ, მასალები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: თიფლის, მათინოვსკა, № 14. ჩე სიურ დიდებულიდე, მოვარნებოთ სერგო ქორეფლიანს გამოვიგზავნოს ალმანახ „მოწაფის“ 8 მანათი.

რედაქციის გამომცემელი კ. კაპანაძე.

F/2

F 790/2
1909

